ხელშეკრულება N03/10/66-14
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(CPV76100000)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „24" აპრილი 2014 წ.

ერთი მხრივ, სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი", წარმოდგენილი მისი დირექტორის შალვა ბრაჭულის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორე მხრივ შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი", წარმოდგენილი მისი სპეციალური მმართველის ირაკლი გაბუნიას სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის მე-1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, *გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგ ზე:*

**1.** გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ ,,ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 ,,შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 ,,მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

**1.6** ,,მომსახურება" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

**2** ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია: მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის გაზიფიცირების სამონტაჟო სამუშაოების შესრულება, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ.

**3** ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 373.25 (სამას სამოცდაცამეტი ლარი და ოცდახუთი თეთრი) ლარს. განსახორციელებელი სამონტაჟო სამუშაოების ერთეულის ფასები მოცემულია თანდართულ ხარჯთაღრიცხვაში.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესასრულებელი სამონტაჟო სამუშაოს ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

**4** მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. გაზიფიცირების სამონტაჟო სამუშაოები განახორციელოს ქ. თბილისში, წყნეთი, რუსთაველის ქ. N1 (საკადასტრო კოდი 01.20.01.064.008) მდებარე შენობაში, თანდართული შპს ,,ყაზტრანსგაზ-თბილისის" მიერ მომზადებული გაზმომარაგების პროექტის და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

4.1.2. გაზიფიცირების სამონტაჟო სამუშაოები განახორციელოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არა უგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში;

4.1.3. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

4.1.4. შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

4.2.2. გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობითა და წესით;
4.2.3. შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 16 ივნისის ჩათვლით.

6. მომსახურების ხარისხი და სტანდარტი

6.1 ხელშეკრულების ფარგლებში მისაწოდებელი სამონტაჟო სამუშაო უნდა იყოს ხარისხიანი და აკმაყოფილებდეს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და შემსყიდველის მოთხოვნებს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ,,შემსყიდველს" ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან. თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

7.2 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია შეუქმნას ,,შემსყიდველს" სათანადო სამუშაო პირობები მის მიერ კონტროლის (ინსპექტირების) ჩასატარებლად. იმ შემთხვევაში, თუ ,,შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით ,,შემსყიდველი".

7.3 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

7.4 წინამდებარე მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

7.5 ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ,,შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებენ სსიპ ,,სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი გიორგი ძიმისტარიშვილი და ამავე სამსახურის სამეურნეო განყოფილების სპეციალისტი ოთარ ელბაქიძე.

8. მიღება-ჩაბარების წესი

8.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ,,შემსყიდველისა" და ,,მიმწოდებლის" უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. ამ პუნქტის შესასრულებლად, „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას, სამუშაოს დასრულებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, გადასცეს „მიმწოდებელს" ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო სამუშაოს წუნის გამოვლენის შემთხვევაში, იმავე ვადაში, წერილობით წარუდგინოს მას მოტივირებული უარი სამუშოს მიღებაზე. თუ მოცემული ვადის გასვლის შემდეგ „მიმწოდებელი" „შემსყიდველისაგან" არ მიიღებს ხელმოწერილ მიღება-ჩაბარების აქტს ან მის ხელმოწერაზე მოტივირებულ უარს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტი ჩაითვლება ხელმოწერილად.

8.2 ,,შემსყიდველის" მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.5 პუნქტში მითითებული პირები.

8.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

9. ანგარიშსწორება

9.1 სამონტაჟო სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით წესით ეროვნულ ვალუტაში.

9.2 ანგარიშსწორება ,,შემსყიდველის" მიერ განხორციელდება ფაქტიურად გაწეული სამუშაოს შესაბამისად, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 ,,მიმწოდებელმა" ,,შემსყიდველის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

13. სუბკონტრაქტორები

13.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ ,,მიმწოდებელმა" წერილობით უნდა აცნობოს ,,შემსყიდველს" სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს ,,შემსყიდველი" და ,,მიმწოდებელი" ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

13.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს ,,შემსყიდველს".

13.3 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მხარეებს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

14.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

15.1 ,,შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, ,,მიმწოდებლისათვის" 5 სამუშაო დღით ადრე ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

15.1.1. თუ ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან ,,შემსყიდველის" მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაუწიოს მომსახურება;

15.1.2. თუ ,,მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3 ,,შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

15.3.1 თუ ,,შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

15.3.2. ,,მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში;

15.3.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.4 წინამდებარე ხელშეკრულების 15.3. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში ,,შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

16. ფორს-მაჟორი

16.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ,,შემსყიდველისა" და/ან ,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით,

კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

17. სადავო საკითხების გადაწყვეტა

17.1 ,,შემსყიდველმა" და ,,მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

17.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ,,შემსყიდველი" და ,,მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს ან აღსრულების ეროვნულ ბიუროს თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18. გამოყენებული სამართალი

18.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

19. შეტყობინება

19.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

19.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20. სხვა პირობები

20.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

20.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

20.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

20.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

21. მხარეთა რეკვიზიტები

| *,,შემსყიდველი"* | *,,მიმწოდებელი"* |
|---|---|
| სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი" | შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი" |
| მის: თბილისი, ქერჩის ქ. N8 | მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №18ა, |
| ტელ: 2 547005 | ტელეფონი: 577 37-44-07, 577 37-44-00, |
| ს/კ: 200280141 | სკ-205129617. |
| სს „ლიბერთი ბანკი" | საბანკო რეკვიზიტები: სს `საქართველოს ბანკი~, |
| ბანკის კოდი: LBRTGE22 | ბ/კ: BAGAGE22, |
| ა/ა: GE97LB0121110646445000 | ა/ა GE 85 BG 0000000 148541200 |
| დირექტორი | სპეციალური მმართველი |
| შალვა ბრაჭული | ირაკლი გაბუნია |